საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2134
31/05/2022

2134-21-2-202205311218

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტს“
მის: ქ. ფოთი, თ. დავითაიას ქუჩა №102
ელ.ფოსტა: bswmge@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1441 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხორგაში ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმო განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 45.16.23.463), ხოლო მისი საერთო ფართობი შეადგენს 4000 $მ^2$-ს. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 2 459 $მ^2$-ს და ამასთან, საწარმოს ინფრასტრუქტურის ნაწილი განთავსებულია მომიჯნავე მიწის ნაკვეთზეც (ს/კ: 45.16.23.462). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდ(ებ)ი და ფართობი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული „ბეტონის აუზიდან“, თუმცა მოცემული არ არის მისი წყლით შევსების შესახებ ინფორმაცია;
- „საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების“ თავში აღნიშნულია, რომ „წყლის გაწმენდის შედეგად დაგროვილი ლამის ამოღება მოხდება სალექარიდან და გამწმენდი ნაგებობიდან“. დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საკითხი;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო